როგორ იქმნებოდა საქართველო

# თბილისის კლასიკური გიმნაზია: ფანჯარა წარსულში

გაკვეთილის გეგმა უფროსკლასელებისთვის

ავტორი: ლიზი ბულხიკაძე

**გაკვეთილი მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.**

პროექტის  მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს საქართველოს საერთო ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა.

2025

# გაკვეთილის შესახებ:

## გაკვეთილის კონცეფცია:

1. წარმოვაჩინოთ სკოლის ისტორიის შესწავლისადმი კვლევითი მიდგომის მაგალითი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სასწავლებლის მიმართ;

2. შევუქმნათ მოტივაცია სხვა სკოლების მოსწავლეებს, რათა მათ ინტერესით შეისწავლონ საკუთარი სკოლის წარსული - ყოველი სკოლა ხომ საკუთარ უნიკალურ ისტორიას ინახავს;

3. გაკვეთილი იქცეს მაგალითად და შთაგონების წყაროდ სხვა სკოლების პედაგოგებისთვის, რათა მათაც განახორციელონ მსგავსი პროექტი და ჩაატარონ ანალოგიური გაკვეთილი საკუთარი სკოლის ისტორიის შესახებ.

## გაკვეთილის მიზანი:

1. მოსწავლეთათვის თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიის, მისი გამოჩენილი პედაგოგებისა და კურსდამთავრებულების, ასევე, XIX საუკუნის სასკოლო განათლების თავისებურებების გაცნობა:

2. მოსწავლეები გაეცნონ თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიას, რათა წარმოიდგინონ, როგორ ჩამოყალიბდა გიმნაზია, როგორც ცოდნისა და ჰუმანიზმის ცენტრი;

3. საქართველოს ისტორიაში თბილისის კლასიკური გიმნაზიის მნიშვნელობის წარმოჩენა, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ მისი როლი ქართულ განათლებასა და კულტურაში;

4. მოსწავლეებს დაეხმაროს ისტორიულ დოკუმენტებთან და ფოტომასალასთან მუშაობის უნარების განვითარებაში, ამასთანავე დოკუმენტების ანალიზსა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში;

5. შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება და ისტორიული კვლევის წახალისება მოსწავლეთა მიერ საკუთარი მასალების შექმნის გზით.

**გაკვეთილის ხანგრძლივობა** - 45 – 90 წუთი.

**სამიზნე აუდიტორია** - უფროსკლასელები (IX–XII კლასები).

## კვლევის ფორმატი:

1. ინტერაქტიური ლექცია დოკუმენტური მასალების გამოყენებით;
2. ჯგუფური სამუშაო დოკუმენტური წყაროების ანალიზითა და შემოქმედებითი დავალებით;
3. მოსწავლეთა პრეზენტაციები, მსჯელობა-რეფლექსია.

## კვლევის გამოყენებული მეთოდები და აქტივობები:

1. გონებრივი იერიში.
2. მულტიმედიური პრეზენტაცია.
3. ჯგუფური მუშაობა - ჯიგსოუს ტექნიკა.
4. პროექტზე დაფუძნებული სწავლა (მინი-პროექტი).
5. კონტექსტსა და სიტუაციაზე დაფუძნებული სწავლა.
6. ინტეგრირებული სწავლება (შესაძლებელია ისტორიისა და ქართულის მასწავლებლებმა გაკვეთილი ერთობლივად ჩაატარონ ).

## მოწვლილია ორგანიზების ფორმები:

1. მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან.
2. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად.
3. მოსწავლეები მუშაობენ წყვილში.
4. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად.

## სასწავლო მასალა და ინვენტარი:

1. თაბახის ფურცელი და კალამი.
2. პროექტორი (მულტიმედიური პრეზენტაციის ვიზუალიზაციისთვის).
3. წინასწარ გამზადებული დოკუმენტური მასალის პაკეტები/ ფაილები ამობეჭდილი სახით (თემაზე).

4. მობილური ტელეფონი და ინტერნეტი (QR-ების დასასკანერებლად (ეს დავალება შეიძლება სახლში შესრულდეს)).
5. A3 ფორმატის ფურცლები (წყვილებში სამუშაოდ).
6. მაგნიტები.

## დოკუმენტური მასალა კვლევისთვის:

### 1. ფოტოები:

- გიმნაზიის შენობისა და საკლასო ოთახების საარქივო სურათები.

### 2. დოკუმენტები:

- გიმნაზიაში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი.
- სასკოლო ჟურნალებიდან ამონაწერები მოსწავლეთა შეფასებებითა და შენიშვნებით.
- კურსდამთავრებულთა წერილები ან მოგონებები გიმნაზიაში გატარებულ წლებზე - ( დ. ყიფიანის მოგონებები).

### 3. დამატებითი მასალები:

- გიმნაზიის შენობაში დადგმული პირველი სპექტაკლის შესახებ ინფორმაცია.
- ცნობილი კურსდამთავრებულების ბიოგრაფიები (მაგ.: ნ. ბარათიშვილი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, დ. სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ივ. ჯავახიშვილი, კ. მარჯანიშვილი, ვ. სარაჯიშვილი, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. დოჩანაშვილი).

### 4. მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლეები მიიღებენ საფუძვლიან ცოდნას თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიის და როლის შესახებ საქართველოს განათლებასა და კულტურაში;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, თბილისის კლასიკური გიმნაზიის მნიშვნელობას და გავლენას ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე;
- მოსწავლეები გაიგებენ, ვინ იყვნენ ცნობილი მოღვაწეები, რომლებმაც ამ გიმნაზიაში მიიღეს განათლება და როგორი გავლენა მოახდინეს მათ ქართულ სამეცნიერო, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე;
- მოსწავლეები განიმტკიცებენ ისტორიული წყაროების ანალიზის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს.

# გაკვეთილის მსვლელობა:

## ფაზა 1

გაკვეთილის საკვანძო შეკითხვა:

**“რას გვასწავლის თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორია?”**

### აქტივობა 1 - შესავალი - გაკვეთილის იდეა და მიზნის წარდგენა მოსწავლეებისთვის

(5 წუთი)

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მეცადინეობის თემას და მიზანს. აცხადებს გაკვეთილის საკვანძო შეკითხვას: “რას გვასწავლის თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორია?”. სასურველია, შეკითხვა დაფაზე, ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დაიწეროს, რომ მოსწავლეებს მთელი მეცადინეობის განმავლობაში თვალწინ ჰქონდეთ.

დემონსტრირების მეთოდითა და ინტერაქციული შეკითხვებით იმართება დისკუსია გონებრივი იერიშის ელემენტებით.

მასწავლებელი აჩვენებს თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობის თანამედროვე ფოტოს და სვამს კითხვას: “იცით თუ არა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შენობას ჩვენი ქალაქის/ქვეყნის ისტორიაში?” ასევე, აჩვენებს თბილისის კლასიკური გიმნაზიის ძველ ფოტოსურათს და სვამს კითხვას: „როგორ ფიქრობთ, რატომ ითვლება ეს საგანმანათლებლო დაწესებულება ისტორიულად მნიშვნელოვანად?”

**ინტერაქციული ნაწილი - დისკუსია:** მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეების იდეებს და მოკლედ უხსნის, რომ თბილისის კლასიკური გიმნაზია იყო ერთ-ერთი პირველი საერო, კლასიკური საგანმანათლებლო დაწესებულება კავკასიაში.

### აქტივობა 2 - ინტერაქტიული მინი-ლექცია დოკუმენტური მასალების გამოყენებით

(15 წუთი)

მასწავლებელი ისტორიული ცნობების გამოყენებით, ატარებს მინი-ლექციას მულტიმედიური პრეზენტაციის დემონსტრირებით მთელი კლასისთვის, მოკლედ უყვება გიმნაზიის ისტორიას, აჩვენებს გიმნაზიის და მისი მოსწავლეების საარქივო ფოტოებს, სვამს შეკითხვებს და ისმენს მოსწავლეთა პასუხებს მთავარ საკითხებზე:

**გიმნაზიის დაარსება (1830 წელი)** მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არა მხოლოდ ცოდნის გავრცელებაში, არამედ სოციალური ელიტის ჩამოყალიბებაში. გიმნაზიამ გახსნა ახალი გზა წარჩინებული ფენის ახალგაზრდების განათლებისთვის, რომლებიც მომავალში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გიმნაზიის მიზანი იყო კლასიკური განათლების მიცემა, რომელიც ეფუძნებოდა ბერძნულ-რომაულ კულტურას. 1804 წელს თბილისში დაარსდა პირველი საერო „კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა. 1830 წელს ის გადაიქცა ვაჟთა გიმნაზიად, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა 15,766 წიგნით.

**საგანმანათლებლო პროგრამა და მასწავლებლები:** გიმნაზიაში სწავლება ძირითადად კლასიკური განათლების მეთოდებზე იყო დაფუძნებული და ცნობილი იყო თავისი მკაცრი სასწავლო პროგრამით და მაღალი აკადემიური სტანდარტებით:

- ლათინური და ძვ. ბერძნული ენები, რიტორიკა, ფილოსოფია, მათემატიკა.
- უცხო ენების შესწავლა: რუსული, ქართული, ფრანგული, გერმანული..
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა, არითმეტიკა, გეომეტრია..
- სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი (დ. ყიფიანის მემუარები)

**ცნობილი კურსდამთავრებულები:** თბილისის კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული იყო ბევრი გამოჩენილი ქართველი მწერალი, პოეტი, ხელოვანი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, რომელთა შორის იყვნენ: ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, დ. სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, კ. მარჯანიშვილი, ვ. სარაჯიშვილი, ოსკარ შმერლინგი, მიხაილო გრუშევსკი, ივ. ჯავახიშვილი, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. დოჩანაშვილი.

**გიმნაზიის როლი კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში:** თბილისის კლასიკური გიმნაზია არა მხოლოდ განათლების ცენტრი, არამედ ეროვნული და პოლიტიკური მოძრაობების მნიშვნელოვანი ფორუმი იყო. ამ პერიოდში სასწავლებელში განათლება მიიღო ბევრმა ისეთმა ადამიანმა, რომელიც შემდგომში გახდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი და გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

- 1850 წლის 2 იანვარს გიმნაზიის შენობაში შედგა პირველი სპექტაკლი – გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“.
- ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებლები.
- აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი.

**ინტერაქციული ნაწილი:** მოსწავლეები ცდილობენ გააანალიზონ, რას მოგვითხრობენ წარმოდგენილი დოკუმენტები გიმნაზიის შესახებ და უპასუხონ მასწავლებლის დასმულ შეკითხვებს.

## ეტაპი II - კვლევა-ძიება

### აქტივობა 3 - დავალება - დოკუმენტური მასალების ანალიზი (15 -20 წუთი)

მოსწავლეები გაერთიანდებიან ჯგუფებად, მიიღებენ გიმნაზიის ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლებს/ამონარიდებს და ეცდებიან, გააანალიზონ, რას მოგვითხრობენ ეს დოკუმენტები გიმნაზიის წარსულის შესახებ. (**იხ. დანართი 1**).

**ინტერაქციული ნაწილი:** წერითი დავალება წყვილებში მუშაობისთვის.

მოსწავლეებმა  უნდა მოამზადონ მოკლე წერილები იმ საკითხებზე/პერსონაჟებზე, რომელთა შესახებ ისაუბრეს გაკვეთილზე. წერილში უნდა აღინიშნოს, რა გავლენა მოახდინეს ამ ადამიანებმა ქართულ კულტურაზე, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორია მათი როლი საქართველოს ისტორიაში.

## ეტაპი III - რეფლექსია

### აქტივობა 4 - დისკუსია და კვლევითი შეკაშება ( 5-10 წუთი )

მოსწავლეები ადარებენ ამ ცნობილ პიროვნებებს და განიხილავენ, როგორ განსაზღვრავს მათი მოღვაწეობა/შემოქმედება/შექმნილი ნამუშევრები ქართულ იდენტობას და კულტურას. ჯგუფებში განხილვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

- როგორ და რატომ იქმნება გიმნაზია?
- რომელი საგნები ისწავლებოდა გიმნაზიაში და როგორი იყო სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის?
- როგორ აისახა გიმნაზიის არსებობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაზე?
- რომელი ცნობილი ადამიანები იყვნენ გიმნაზიის კურსდამთავრებულები და როგორ აისახა თბილისის კლასიკური გიმნაზიის გავლენა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე?

## აქტივობა 5 - შემოქმედებითი დავალება:

დავალების შესასრულებას დაეთმობა მეორე გაკვეთილის გარკვეული დრო. შესაძლებელია, მოსწავლეებმა ეს დავალება გაკვეთილისგან დამოუკიდებლად, საშინაო დავალების ფორმატში შეასრულონ და შემდეგ გაკვეთილზე წარმოადგინონ. ამდენად, მეორე გაკვეთილის აქტივობებს მასწავლებელი თავისი შეხედულებით დაგეგმავს და გაანაწილებს დროში. აქ მხოლოდ მეორე გაკვეთილისთვის რეკომენდებულ აქტივობებს წარმოგიდგენთ.

მოსწავლეები დავალებას ასრულებენ წყვილებში. თითოეული წყვილი ქმნის გაზეთის გვერდს (მაგ., გაზეთი "ივერია"), რომელიც ეძღვნება თბილისის კლასიკურ გიმნაზიას. გვერდი უნდა შეიცავდეს:

- სტატიას გიმნაზიის ცხოვრების რომელიმე ასპექტზე (განათლება, კულტურა, მასწავლებლები, კურსდამთავრებულები);
- ილუსტრაციებს ან ფოტოსურათებს შესაბამისი წარწერებით;
- რეკლამას ან განცხადებას, რომელიც გიმნაზიას უკავშირდება.

## აქტივობა 6 - ჭიმნაზია

ჯგუფები წარადგენენ თავიანთ გაზეთებს და ხსნიან მასალების შერჩევის მოტივაციას.

## აქტივობა 7 - განხილვა და კვლევითი შეკითხვა

მოსწავლეები აწყობენ დისკუსიას თემაზე "რატომ არის მნიშვნელოვანი კლასიკური განათლება?"

**საკვანძო კითხვები განსახილველად:**

- რა იყო გიმნაზიის ძლიერი და სუსტი მხარეები? რამდენად მნიშვნელოვანია დღეს კლასიკური განათლება?
- XIX საუკუნიდან დღემდე, როგორ შეიცვალა გიმნაზიის როლი და სასწავლო პროცესები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში?
- რა გაგიკვირდათ გიმნაზიის ისტორიაში? რომელი ტრადიციების შენარჩუნება იქნებოდა სასარგებლო თანამედროვე სკოლებში?
- როგორ მოახდინა განათლებამ გავლენა გიმნაზიის მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე?
- რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი სკოლის ისტორიის ცოდნა?
- თუ გსურთ, რომ ჩატაროთ მსგავსი გაკვეთილი თქვენს კლასში?
- ფინალური დავალება: მოსწავლეებმა დაწერონ მინი-ესსე თემაზე: "მე რომ XIX საუკუნის თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე ვიყო/ვყოფილიყავი?"

**საშინაო დავალება (სურვილისამებრ):**

**მოამზადეთ მცირე კვლევა თქვენი სკოლის შესახებ:**

- ვინ იყვნენ პირველი მასწავლებლები?
- სკოლის რომელმა კურსდამთავრებულებმა მიაღწიეს ცნობადობას?
- არსებობს თუ არა ძველი ფოტოები, დოკუმენტები, რომელიც სკოლის წარსულის შესახებ მოგვითხრობს?

## დანართი 1 - რეკომენდებული წყაროები:

| | |
|---|---|
| თბილისის კლასიკური გიმნაზია – Tbilisi Classic School, თენგიზ ვერულავას ბლოგი - ბურუსი – BURUSI; | ბმული |
| გიმნაზიის შენობისა და საკლასო ოთახების საარქივო სურათები - თბილისის კლასიკური გიმნაზიის მუზეუმი; | ბმული |
| დაბრუნება ძველ ტფილისში – XIX საუკუნის თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ლევან ალფაიძე, [სტატია] ელ. ჟურნალი "მასწავლებელი" 25 იანვარი, 2022; | ბმული |
| აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი; | ბმული |
| ივანე ჯავახიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პორტალი; | ბმული |
| სოლომონ დოდაშვილი - დიდი ქართველები, ლევან ბერძენიშვილი [სტატია] ჟურნალი "ჩემი სამყარო" № 40 /2023, გვ. 4-11; | ბმული |
| დიმიტრი ყიფიანი - გმირი და წმინდანი - დიდი ქართველები, ლევან ბერძენიშვილი, ჟურნალი "ჩემი სამყარო" № 44 / 2024, გვ. 14-23; | ბმული |
| დიმიტრი ყიფიანი - საქართველოს ეროვნული არქივი; | ბმული |
| ნიკოლოზ ბარათაშვილი - ბიოგრაფია - თენგიზ ვერულავას ბლოგი - ბურუსი - BURUSI; | ბმული |
| მემუარები, დიმიტრი ყიფიანი; | ბმული |
| გიორგი ერისთავის ცხოვრება, შემოქმედება, თენგიზ ვერულავას ბლოგი - BURUSI; | ბმული |
| გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა" ქართული რეალიზმის სათავეში, მაკა სახურია [სტატია] ელ. ჟურნალი "მასწავლებელი", 26 დეკ. 2022; | ბმული |

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძე - ბიოგრაფია - თენგიზ ვერულავას ბლოგი - BURUSI; | ბმული |
| ილია ჭავჭავაძე, 1860-1890-იანი წლები - საქართველოს ეროვნული არქივი; | ბმული |
| ილია ჭავჭავაძის მარადიული აქტუალობა - დიდი ქართველები, ლევან გიგინეიშვილი ჟურნალი "ჩემი სამყარო" № 3/ 2010, გვ. 34-49; | ბმული |
| დავით სარაჯიშვილი - დიდი მამულიშვილი და მოქალაქე - დიდი ქართველები, რუსუდან მარგიშვილი [სტატია] ჟურნალი "ჩემი სამყარო" № 10 /2015, გვ. 20-31; | ბმული |
| დავით სარაჯიშვილი - ი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა; | ბმული |
| ზუბალაშვილები - დიდი ქართველები, ოთარ ჯანელიძე [სტატია] ჟურნალი "ჩემი სამყარო" № 32/2021, გვ. 12-19; | ბმული |
| ვანო სარაჯიშვილი -საქართველოს ეროვნული არქივი; | ბმული |
| ზვიად გამსახურდია - ი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა; | ბმული |
| ზვიად გამსახურდია – ბიოგრაფია - თენგიზ ვერულავას ბლოგი - BURUSI; | ბმული |
| მერაბ კოსტავა - ი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა; | ბმული |
| მერაბ კოსტავა – ბიოგრაფია - თენგიზ ვერულავას ბლოგი - BURUSI; | ბმული |
| გურამ დოჩანაშვილი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა; | ბმული |
| გურამ დოჩანაშვილი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა; | ბმული |
| "მერაბ კოსტავა გმირი იყო"- ინტერვიუ გელა ჩრკვიათან, თამთა დადეშელი [სტატია] ელ, ჟურნალი გზა; | ბმული |
| თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა, სოფიკო ლობჟანიძე [სტატია] ელ. ჟურნალი "მასწავლებელი" 26 ოქტ. 2012; | ბმული |